ზედა რუს მაგისტრალური არხის გაწმენდითი სამუშაოები

3 აპრილი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ შიდა ქართლში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს განაგრძობს.

სოფელ საქაშეთი-სასირეთის ტერიტორიაზე ნატანი მასისა და დანალექი გრუნტისგან ზედა რუს სარწყავი სისტემის დაახლოებით 3 კმ სიგრძის მაგისტრალური არხი გაიწმინდა.

სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს.

შედეგად, გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების 2000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

მოწესრიგებული სარწყავი სისტემით სოფელ ქვედა ნიქოზის, ფხვენისის, შინდისის, ვარიანის მეურნეობის, საქაშეთის, სასირეთის, რუისისა და ურბნისის ფართობები ირწყვება.

სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

12 აპრილი

შიდა ქართლში სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ქარელის მუნიციპალიტეტში მაგისტრალური არხის 8,2 კმ-მდე სიგრძის მონაკვეთზე არსებული დაზიანებული ფილები ახლით შეიცვლება; არხი მონოლითური ბეტონით მოპირკეთდება; მოეწყობა ბორდიურები.

პროექტით გათვალისწინებულია ძამის დიუკერის რეაბილიტაციაც, რაც დანალექი გრუნტისგან დიუკერის გაწმენდას, სათავისების აღდგენას და სხვადასხვა ტიპური ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობას ითვალისწინებს.

ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს. შედეგად, სარწყავი წყლის მიწოდება 3240 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება.

პროექტის ღირებულება 5,2 მლნ ლარზე მეტია. სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2025 წლის მარტში დასრულდება.

სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები „საქართველოს მელიორაციის" ტექნიკურმა დირექტორმა ალექსანდრე მიქიაშვილმა დაათვალიერა და სარწყავი წყლის მიწოდების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია ადგილობრივი ფერმერებისგან მოისმინა.

ხობი-უტორას დამშრობი მასივის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

22 აპრილი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ხობის მუნიციპალიტეტში, ხობი-უტორას დამშრობი მასივის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

სოფელ შუა ხორგაში ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 3 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური არხი იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება და მუნიციპალიტეტში 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

სადრენაჟე არხის გაწმენდით სამუშაოებს საქართველოს მელიორაცია მაისში დაასრულებს.

ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

26 აპრილი

„საქართველოს მელიორაცია“ ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებს ახორციელებს

პროექტი, რომლის ღირებულებაც 3,8 მლნ ლარზე მეტია, 14 კილომეტრამდე სიგრძის სრულიად ახალი, დახურული ქსელის და სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობის მოწყობას ითვალისწინებს.

სამუშაოების განხორციელების შედეგად, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელი მატანის 400 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი თამაზ მღებრიშვილი ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა.

აღსანიშნავია, რომ კახეთის რეგიონში, 2012 წლიდან, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 107 სარეაბილიტაციო პროექტი განხორციელდა, ჯამური ღირებულებით 71,3 მლნ ლარი.

შედეგად, წყალუზრუნველყოფილია დამატებით24 120 ჰექტარი მიწის ფართობი, სარწყავი წყლის მიწოდება 13 320 ჰექტარზე გაუმჯობესდა, ხოლო დაშრობილი მიწის ფართის რაოდენობაა 8725 ჰექტარი.

ოთარ შამუგია იაყუბლოს წყალსაცავზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

2 მაისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, დმანისის მუნიციპალიტეტის მერ კობა მურადაშვილთან ერთად, სოფელ იაყუბლოს წყალსაცავის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, შპს „საქართველოს მელიორაცია“ დმანისში, იაყუბლოს წყალსაცავზე 7 მლნ ლარის ღირებულების პროექტს ახორციელებს.

მიმდინარე პროექტით დაგეგმილია კაშხლის წნევიანი ფერდის გამაგრება და მონოლითური რკინაბეტონის ფილებით მოპირკეთება, ტალღამრიდის დამცავი რკინაბეტონის 1600 მეტრი სიგრძის კედლის მოწყობა, წყალსაცავის სარეგულაციო კოშკზე ელექტრო განათების და ელექტრომექანიკური ამწე დანადგარების მოწყობა; ასევე, გათვალისწინებულია კაშხლის თხემზე ბეტონის 1,3 კმ სიგრძის სამანქანო გზის მშენებლობა. აღნიშნული სამუშაოები წყალსაცავის გამართულად ფუნქციონირებას უზრუნველყოფს, რომელიც სარწყავი წყლით დაახლოებით 3000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს ამარაგებს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები 2024 წლის ბოლოს დასრულდება.

დღეისათვის რეგიონში მიმდინარეობს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 24,5 მლნ ლარის ღირებულების 11 პროექტი, რომელთა დასრულების შედეგად, 8730 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

მსოფლიო ბანკი დადებითად აფასებს მელიორაციის რეფორმებს

6 ივნისი

მსოფლიო ბანკი პოზიტიურად აფასებს საქართველოში მელიორაციის მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებს.

შეხვედრის მონაწილეებმა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული საირიგაციო წყლის მიწოდების წესები განიხილეს.

საუბარი შეეხო ტარიფის მეთოდოლოგიას, რომელიც ტარიფში საოპერაციო ხარჯების ასახვას ითვალისწინებს.

შეხვედრაზე მსოფლიო ბანკის ექსპერტების მხრიდან შემოთავაზებული იყო რამდენიმე მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის შემოსავლების დაბალანსებას კომპანიის მიერ გაწეულ საოპერაციო ხარჯებთან მიმართებაში. როგორც წყლის რესურსების მართვის, ენერგეტიკისა და სემეკ-თან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა მამელი ქობალიამ აღნიშნა, მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან კონსულტაციები კომპანიისთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა ახალი რეგულირების ფარგლებში არსებული გამოწვევების დასაძლევად.

სოფელ იყალთოში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს

7 ივნისი

საქართველოს მელიორაცია კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე აღდგენით სამუშაოებს ატარებს.

კახეთში მაისის ბოლოს მოსულმა უხვმა ნალექმა დიუკერის მარცხენა ძაფის ბეტონის საფარი დააზიანა.

ამჟამად მიმდინარეობს მდინარე ალაზნის კალაპოტში წყლის დინების მიმართულების შესაცვლელად გრუნტის დამუშავების და დაზიანებული მონაკვეთის გრუნტისგან გათავისუფლების სამუშაოები.

ინტენსიურ რეჟიმში ხორციელდება დიუკერიდან წყლის ამოტუმბვის სამუშაოები და დაზიანებული ბეტონის საფარის დემონტაჟი.

დაგეგმილია დიუკერის მარცხენა ძაფის დანალექი გრუნტისა და სხვადასხვა სახის ნარჩენებისგან გაწმენდა და დაზიანებული ბეტონის საფარის ორმაგი არმირებით აღდგენა.

სამუშაოები ივნისის მეორე ნახევარში დასრულდება.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს განაგრძობს.

13 ივნისი

გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის პირველი რიგის გამანაწილებელი არხის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

1700 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე ლითონის მილით დახურული ქსელი ეწყობა. სამუშაოები, რომელიც ივნისის ბოლოს დასრულდება სოფელ ვეჯინში 240 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გააუმჯობესებს და მოსავლიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

საქართველოს მელიორაციაში სტუდენტებმა სტაჟირება გაიარეს

21 ივნისი

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტებმა სტაჟირება გაიარეს.

ერთი თვის განმავლობაში, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, კომპანიის რეგიონულ სერვისცენტრებსა და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე მუშაობის სპეციფიკას გაცნობოდნენ.

სტაჟირება შპს „საქართველოს მელიორაციასა“ და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ტარდება.

სტაჟირების პროგრამა მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის დარგში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მომზადების მხარდაჭერას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

კომპანიაში გამართულ შეხვედრაზე სტუდენტებმა სტაჟირების შემაჯამებელი პრეზენტაცია წარმოადგინეს, რის შემდეგაც სერტიფიკატები გადაეცათ.

ღონისძიებას კომპანიის სამსახურების ხელმძღვანელები და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ.

„საქართველოს მელიორაცია“ სტუდენტებს მომავალშიც შესთავაზებს კომპანიაში სტაჟირების გავლას.